მოდულის დასახელება:
„პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება“

5 საათი

მოდულში ჩართვის წინაპირობა და შერჩევის მექანიზმი: „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრები.

მიზნები და მისაღწევი შედეგები:

მსმენელები

- გაიაზრებენ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის არსსა და მნიშვნელობას;
- გაეცნობიან პედაგოგიური კვლევის ეტაპებს, იმსჯელებენ თითოეული ეტაპის მნიშვნელობაზე და მისი სწორად წარმართვის გზებზე;
- გაეცნობიან მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდებს, იმსჯელებენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე;
- გააცნობიერებენ კვლევის ეთიკის დაცვის აუცილებლობას კვლევის პროცესში;
- გაეცნობიან ზოგად პრინციპებს, თუ როგორ უნდა გაფორმდეს პრაქტიკის/სამოქმედო კვლევის ანგარიში;
- გაეცნობიან და გააანალიზებენ პრაქტიკის კვლევის შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკას;
- პრაქტიკის კვლევის შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკებზე დაყრდნობით შეძლებენ კვლევის ანგარიშის შეფასებას და განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემას.

სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები: სერტიფიკატის მისაღებად მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შეფასებაში არსებული მოთხოვნები: დაესწროს თითოეული მოდულის მინიმუმ 80%-ს და, ამასთან, 100-ქულიანი სისტემის შეფასების შკალაში დააგროვოს მინიმუმ 60 ქულა.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის პუნქტები, რომლებსაც შეესაბამება პროგრამის მისაღწევი შედეგები და შინაარსი:

1. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება:

- მუხლი13[9].2. შეუძლია საკვლევი საკითხის დამოუკიდებლად განსაზღვრა, კვლევის ჩატარება, მონაცემთა დამუშავება- ინტერპრეტაცია, კვლევის შედეგების გამოყენება საკუთარი და კოლეგების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

(პროგრამის მისაღწევი შედეგები და შინაარსი ასვე შეესაბამება პროფესიული სტანდარტის ყველა დანარჩენ მუხლს, რადაც მასწავლებელს მოეთხოვება პრაქტიკის კვლევის კომპეტენცია)